საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/280

25/01/2022 280-11-2-202201251712

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფს“

ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა I, III შესახვევი

გიგზავნით, „შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“- სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 565333 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2022 წლის 25 იანვრის N39/ს ბრძანებას. ამავე ბრძანების საფუძველზე, ტყითმოსარგებლე ვალდებულია სახელმწიფო ტყის 565333 კვ.მ. მიწის ფართობზე, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისათვის ერთჯერადად გადაიხადოს საკომპენსაციო საფასური - სულ: 1114101.54 (ერთი მილიონ ასთოთხმეტიათას ასერთი ლარი და 54 თეთრი) ლარის ოდენობით. აქედან 203519.88 ლარი (565333კვ.მ) ფართობით სარგებლობისთვის, ხოლო, 910581.66 ლარი (4203.53 კბ.მ.) ხე-ტყის ჭრის.

გთხოვთ, აღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოთ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი -TRESGE22, სახაზინო კოდი (ანგარიში) N707367521 და აღნიშნული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინოთ სააგენტოში.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, -

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება უნდა დაარეგისტრიროთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ამათანავე, ტყითმოსარგებლე უფლებამოსილია - ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობა განახორციელოს, მხოლოდ ზემოაღნიშნული საკომპენსაციო საფასურის გადახდის და ფართობის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

დანართი: ელ. სახით.

პატივისცემით,

ზურიკო ყელიხაშვილი

დეპარტამენტის უფროსი